საინფორმაციო ლექცია

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან არსებული საქართველოს სახელმწიფო ენების კულტურული დაცვისა და ტექნოლოგიური განვითარების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თაობაზე წაკითხული 2026 წლის 3 სექტემბერს საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის XVI საერთაშორისო კონფერენციის პლენარულ სესიაზე

კონსტანტინე (კოტე) ფხაკაძე

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან არსებული საქართველოს სახელმწიფო ენების კულტურული დაცვისა და ტექნოლოგიური განვითარების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი და სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე; სტუ-ის საინჟინრო, ტექნოლოგიური და საბუნებისმეტყველო საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს წევრი; საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მეცნიერთა საბჭოს წევრი; სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ექსპერტთა კომისიის წევრი

01. მე ვიწყებ ჩემს საინფორმაციო ლექციას შემდეგით: დღეს, ჩემი სამშობლო, საქართველო, ძალიან ძლიერი პოლიტიკური დაძაბულობის ანუ პოლიტიკური ტურბულენტობის წინაშე დგას. ამიტომ თავიდანვე მსურს ნათლად და გულწრფელად გამოვხატო ჩემი პოლიტიკური პოზიცია, რადგან ადამიანთა შორის ურთიერთობაში გულწრფელობაზე მნიშვნელოვანი არაფერია.

ჩემი თვალთახედვით, ეგრეთ წოდებული „ოპოზიციური პოლიტიკური ძალები“, რომლებიც 2024 წლის 26 ოქტომბრის სამართლიან არჩევნებში დამარცხდნენ, გარე ძალების მხარდაჭერით ცდილობენ დაასუსტონ ქართული სახელმწიფო და ქართული დემოკრატია, ანუ ქართველი ხალხის უფლება, თავად მართოს თავისი ქვეყანა.

ამიტომ, მტკიცედ მიმაჩნია, რომ 2024 წლის 26 ოქტომბრის სამართლიან არჩევნებში დამარცხებულ აგრესიულ უმცირესობას არასოდეს არ უნდა მიეცეს საშუალება ხელში ჩაიგდოს ქვეყნის მართვა.

02. ახლა კი, პატივცემულო კოლეგებო, სტუდენტებო, მკვლევრებო და სტუმრებო, გმადლობთ შესაძლებლობისთვის, რომ დღეს მეძლევა საშუალება ვისაუბრო თქვენთან საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან არსებული „საქართველოს სახელმწიფო ენების კულტურული დაცვისა და ტექნოლოგიური განვითარების სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტის“ შესახებ.

ჩემი ამ ლექციის საგანი მხოლოდ ახალი აკადემიური დაწესებულების დაფუძნება არ არის. იგი გაცილებით ფართო საკითხს ეხება და ეს საკითხია როგორ დაიცვას სახელმწიფომ თავისი ენები კარს მომდგარი სრულყოფილი ხელოვნური ინტელექტისა და სრულმასშტაბიანი ციფრული ეკონომიკის ეპოქაში?

03. საქართველოში ეს საკითხი ეხება ქართულს, სახელმწიფო ენას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, და აფხაზურს, რომელიც დღეს დროებით ოკუპირებული აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ასევე სახელმწიფო ენის სტატუსშია ქართულთან ერთად.

04. ამ მოკლე შესავლის მერე ხაზს ვუსვამ შემდეგს: საინფორმაციო ლექციას ვუძღვნი აფხაზეთში დაბადებული და გაზრდილი თვალსაჩინო ქართველი მეცნიერის, პროფესორ ხიმურ რუხაიას ხსოვნას, რომელიც ჩემი მეგობარიც იყო და მასწავლებელიც და რომლის დაბადებიდან 80 წლის იუბილეს ეძღვნება ჩვენი კონფერენციის ლოგიკის, ენისა და ხელოვნური ინტელექტის სექცია.

დღევანდელ ლექციას ვუძღვნი აგრეთვე მამაჩემის, ქართული მათემატიკური ლოგიკის სკოლის ფუძემდებლის, საქართველოს მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწის, შალვა ფხაკაძის ხსოვნას (https://geoanbani.com/TbiLLAI/).

საქმე ისაა, რომ სწორედ შალვა ფხაკაძის აღნიშვნათა თეორიას, მისეულ ℑ საკმარისად ზოგად მათემატიკურ ენასა და მათემატიკის დაფუძნების მისეულ სემანტიკურ პროგრამას ეყრდნობა ქართული ენისა და აზროვნების მათემატიკური მეთოდებით შესწავლის ისტორიულად პირველი კვლევების შედეგად 2000-2005 წლებში ჩემს მიერ შემუშავებული ქართული ენის პირდაპირი ფორმალურ-ლოგიკური აღწერის მეთოდი, ქართული ენობრივი იდეოლოგია და ქართული ენის ლოგიკური გრამატიკის საფუძვლები, რომლებზეც საინფორმაციო ლექციის დროში შეზღუდულობის გამო დეტალური საუბარი მექნება ლოგიკის, ენისა და ხელოვნური ინტელექტის სექციაზე. თუმცა, აქვე ვიტყვი, რომ ქართული ენის მანამდე შეუსწავლელი მათემატიკური ბუნების ამ ისტორიულად პირველი მათემატიკური ხასიათის ქართველოლოგიური კვლევების ფუნდამენტური მნიშვნელობების შედეგებმა და სახელმწიფო ენების დაცვის მიზნებზე მიმართული საინსტიტუტო კვლევების განსაკუთრებით მაღალმა ეროვნულმა მნიშვნელობებმა განაპირობა ის, რომ პირდაპირი სამთავრობო საბიუჯეტო დაფინანსებით 2025 წლის 15 მაისიდან საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ამოქმედდა ჩვენი ინსტიტუტი ანუ „საქართველოს სახელმწიფო ენების კულტურული დაცვისა და ტექნოლოგიური განვითარების სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტი“.

ამგვარად, ამ ჩვენი ინსტიტუტის დაფუძნებით, რომლის სტრუქტურული ერთეულებია „ლოგიკის, ენისა და ხელოვნური ინტელექტის განყოფილება“ და „ქართული და აფხაზური ენობრივი რესურსებისა და ტექნოლოგიების ლაბორატორია“, საქართველოს მთავრობამ და განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ ისტორიული მნიშვნელობის ნაბიჯი გადადგა საქართველოს სახელმწიფო ენების - ქართულისა და აფხაზურის - კულტურული დაცვისა და ტექნოლოგიური განვითარების მიმართულებით, რისთვისაც ჩვენ კიდევ ერთხელ ვადასტურებთ ჩვენს ღრმა მადლიერებას ღრმა ეროვნული მნიშვნელობების მქონე საკითხებისადმი მათი ამგვარი ღრმა პასუხისმგებლობითი დამოკიდებულებებისათვის.

ასევე, ჩვენ ძლიერ მადლიერნი ვართ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და საქართველოს ბიზნესასოციაციის ქართული და აფხაზური ენების დაცვის მიზნებში მათი მეტად ძლიერი მხარდაჭერისთვის და, აგრეთვე, ჩვენ მადლიერნი ვართ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, სახელმწიფო ენის დეპარტამენტის და საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის მათი არანაკლებ ძლიერი მხარდაჭერისთვის, რის გარეშეც დღეს შეიძლება მე თქვენს წინაშე ამ საინფორმაციო ლექციით წარდგენის არც საშუალება და არც საფუძველი არ მქონოდა.

05. ამ მცირე ზოგადი შესავლის შემდეგ კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამ, რომ 2025 წლის 15 მაისს ჩვენი ინსტიტუტის დაფუძნება-ამოქმედების მთავარი მიზეზი ისაა, რომ სრულყოფილი ხელოვნური ინტელექტისა და სრულმასშტაბიანი ციფრული ეპოქის მიჯნაზე საქართველოს მთავარი სახელმწიფო ენა - ქართული და, მით უფრო, საქართველოს მეორე სახელმწიფო ენა - აფხაზური ციფრული კვდომის ანუ ციფრული გაქრობის საფრთხის ქვეშ მყოფ ენათა შორის იმყოფებიან მთელ რიგ სხვა ევროპულ და არამხოლოდ ევროპულ ენებთან ერთად.

შესაბამისად, ჩვენი ინსტიტუტის მთავარი მიზანი ინსტიტუტის დასახელებაშივეა ჩადებული და ეს არის ქართული და აფხაზური ენების კულტურული დაცვა და ტექნოლოგიური განვითარება დღეს მათ წინაშე მდგარი ციფრული კვდომის ანუ ციფრული გაქრობის საფრთხეებისგან.

ამგვარად, რომ უფრო გასაგები გახდეს ის მაღალი ეროვნული საფეხურის საკითხები, რომელთა გადაწყვეტასაც ინსტიტუტი ემსახურება, ქვემოთ, 8 პუნქტად, თითქმის უცვლელადაა წარმოდგენილი საქართველოს მთავრობის მიერ 2023 (**იხილეთ** https://geoanbani.com/Other/PDFs/Articles/23.pdf **მისამართის 62-ე - 134-ე გვერდებზე განთავსებული მასალა**), 2024 (**იხილეთ** https://geoanbani.com/Other/PDFs/Articles/23.pdf **მისამართის 135-ე - 166-ე გვერდებზე განთავსებული მასალა**) და 2025 (**იხილეთ** https://geoanbani.com/Other/PDFs/Articles/26.pdf **მისამართის მე-4 – 125-ე გვერდებზე განთავსებული მასალა**) წლებში სამჯერ მხარდაჭერილი საინსტიტუტო მიზნები და ამოცანები. - ეს კიდევ ერთხელ თვალსაჩინოს გახდის, რომ ინსტიტუტი დაფუძნდა გამოთვლითი ლინგვისტიკის ანუ ლოგიკის, ენის, ხელოვნური ინტელექტისა და ცოდნის ინჟინერიის ფარგლებში მდებარე ქვეყნისთვის სტრატეგიული მნიშვნელობების მქონე ეპოქალური ამოცანების გადაწყვეტის აუცილებლობით, რაც, თავის მხრივ, განპირობებულია:

1. ქართული ენის ტექნოლოგიური ანბანის ანუ სწავლის უნარებით აღჭურვილი ქართული ენის თითქმის სრულყოფილად მცოდნე კომპიუტერული სისტემის შემუშავების აუცილებლობით, რაც პირდაპირაა განპირობებული ციფრულ ეპოქაში ქართული ენობრივ-კულტურული იდენტობის დაცვის, შენარჩუნებისა და განვითარების აუცილებლობით. - **კომენტარი:** ამ ტიპის ქართული სისტემა თავისი შინაარსიდან გამომდინარე ბუნებრივად თანაბრდება და, შესაბამისად, ბუნებრივია იწოდოს როგორც ქართული კომპიუტერული „ტვინი“, რისი შემუშავებაც ციფრული ეპოქის მიჯნაზე ცხადია არის თანამედროვე ქართული საზოგადოების უცილობელი ვალდებულება.

2. აფხაზური ენის ტექნოლოგიური ანბანის ანუ სწავლის უნარებით აღჭურვილი აფხაზური ენის თითქმის სრულყოფილად მცოდნე კომპიუტერული სისტემის შემუშავების აუცილებლობით, რაც პირდაპირაა განპირობებული ციფრულ ეპოქაში აფხაზური ენობრივ-კულტურული იდენტობის დაცვის, შენარჩუნებისა და განვითარების აუცილებლობით. - **კომენტარი:** ამ ტიპის აფხაზური სისტემა თავისი შინაარსიდან გამომდინარე ბუნებრივად თანაბრდება და, შესაბამისად, ბუნებრივია იწოდოს როგორც აფხაზური კომპიუტერული „ტვინი“, რისი შემუშავებაც ციფრული ეპოქის მიჯნაზე სავსებით შესაძლებელია,

ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ინსტიტუტით დაგეგმილ კვლევებში აქტიურად ჩაერთვებიან აფხაზური ენის ბუნებრივად მცოდნე აფხაზი მკვლევრები.

3. ქართული კომპიუტერული "ტვინით“ ტექნოლოგიურად სრულად უზრუნველყოფილი ქართული ჭკვიანი საინტერნეტო ქსელის კონსტრუირების აუცილებლობით, რაც ზემოთ უკვე გამოკვეთილი აუცილებლად გადასაწყვეტი ამოცანების გარდა განპირობებულია აგრეთვე ქართულ ენაში თურქეთელი, ფერეიდნელი და ინგილოელი ქართველების დაბრუნების აუცილებლობით, რის პერსპექტივებსაც იძლევა მომავლის ციფრული ეპოქის დღეს უკვე განჭვრეტილი კონტურები. - **კომენტარი:** ამ მეტად მნიშვნელოვან თემასთან დაკავშირებით ხაზს ვუსვამთ შემდეგს: ჩვენთვის სრულიად ცხადია, რომ „ქართული კომპიუტერული ტვინისა“ და „ქართული კომპიუტერული ტვინით“ ტექნოლოგიურად სრულად უზრუნველყოფილი ქართული ჭკვიანი საინტერნეტო ქსელის მესაკუთრე უნდა იყოს ქართული სახელმწიფო! - ამას გვკარნახობს ქართული სახელმწიფოს უსაფრთხოებისა და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის მიზნები და ვალდებულებები, რაც იმას ნიშნავს, რომ ქართული კომპიუტერული „ტვინი“ ცხადია თბილისში ანუ საქართველოში უნდა იყოს „დასერვერებული“.

4. აფხაზური კომპიუტერული ტვინით ტექნოლოგიურად სრულად უზრუნველყოფილი აფხაზური ჭკვიანი საინტერნეტო ქსელის კონსტრუირების შესაძლებლობით, რაც ამ მიზნის გასწვრივ აფხაზებისა და ქართველების თანამშრომლობის შემთხვევაში სავსებით რეალურია. - **კომენტარი:** ამ მეტად მნიშვნელოვან თემასთან დაკავშირებით ხაზს ვუსვამთ შემდეგს: სრულყოფილი აფხაზური კომპიუტერული „ტვინით“ ტექნოლოგიურად სრულად უზრუნველყოფილი საინტერნეტო ქსელის კონსტრუირება სავსებით რეალურია, თუმცა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ შევძლებთ გამოთვლითი ლინგვისტიკის ანუ ლოგიკის, ენის, ხელოვნური ინტელექტისა და ცოდნის ინჟინერიის აფხაზური ენის ბუნებრივად მცოდნე სპეციალისტების აღზრდასა და მათ ჩართვას საინსტიტუტო კვლევებში. ამასთან, აქვე, ხაზს ვუსვამთ იმასაც, რომ ტექნიკურ უნივერსიტეტში ამ მიზნით ანუ გამოთვლითი ლინგვისტიკის აფხაზური ენის ბუნებრივად მცოდნე სპეციალისტების აღზრდის მიზნით უკვე გადადგმულია მნიშვნელოვანი ნაბიჯები, რომლებიც ცხადია ბოლომდე ანუ შედეგებამდეა მისაყვანი.

5. მშვიდობიანი გზებით აფხაზების შემორიგებისა და აფხაზეთის შემოერთების აუცილებლობით, რაშიც ჩვენ გვეიმედება ის, რომ დღევანდელი ქართული სახელმწიფო ამ პოლიტიკურად უკიდურესად მნიშვნელოვან საკითხს სწორედ ასე უყურებს და ისიც, რომ ჩვენი აფხაზი ნათესავები კავკასიელებისთვის დამახასიათებელი წესით და რიგით დააფასებენ აფხაზურ ენაზე ქართველების ასეთ სახელმწიფოებრივად მხარდაჭერილ ზრუნვას, რადგან ღვთით დალოცვილი აფხაზეთი ერთდროულად იყო და არის ქართველებისა და აფხაზების სამკვიდრო. - **კომენტარი:** ამ მეტად მნიშვნელოვან თემასთან დაკავშირებით იხილეთ https://rustaveli.org.ge/geo/tsarmatebuli-proeqebi-da-mecnierebi/kidev-erti-nabiji-mosaubre-kartuli-tvitganvitarebadi-intelektualuri-korpusisaken მისამართზე განთავსებული მასალა. გარდა ამისა, იხილეთ აგრეთვე https://geoanbani.com/Other/PDFs/Articles/15.pdf მისამართის 63-ე - 106-ე გვერდებზე განთავსებული ნაშრომი „ღია წერილი საქართველოს პარლამენტს, მთავრობას,

მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასა და ქართულ და აფხაზურ საზოგადოებებს ანუ სახელმწიფო ენის (ქართული, აფხაზური) სრული ტექნოლოგიური უზრუნველყოფის ერთიანი პროგრამის ძირითადი პრინციპები ანუ მომავლის კულტურულ სამყაროში ტექნოლოგიურად სრულად უზრუნველყოფილი ქართული და აფხაზური ენებით - 2017 წლის ვერსია“, სადაც ჩვენ შემდეგს ვწერდით „ანუ, ეს ყველაფერი იმას ნიშნავს, რომ თუ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქართული ენის ტექნოლოგიზების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის მეტად მცირერიცხოვანმა ჯგუფმა, მიუხედავად იმისა, რომ 2017 წელს შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში არ დაუფინანსდა ქართული და აფხაზური ენების დაცვის მიზნებზე პირდაპირ მიმართული ორი მეტად მნიშვნელოვანი პროექტი, მაინც შეძლო და 2018 წლისთვის მნიშვნელოვნად წაწია წინ ქართული და აფხაზური ენების ციფრული კვდომის საფრთხისგან დაცულობის ხარისხი, მაშინ „სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამის“ ანუ, რაც ფაქტობრივ იგივეა, „ქართული და აფხაზური ენების დაცვისა და განვითარების სახელმწიფო პროგრამის“ ამოქმედება, ცხადია, ბევრად უფრო სწრაფი ნაბიჯებით წაწევს წინ ქართული და აფხაზური ენების ციფრული კვდომის საფრთხისგან დაცულობის ხარისხს, რაც, თავის მხრივ, ჩვენი ღრმა რწმენით, იმ გზის საწყის საფუძვლად იქცევა, რომელიც ქართულ და აფხაზურ ენაზე მოსაუბრე, მოაზროვნე და მთარგმნელი კომპიუტერების ანუ ქართული და აფხაზური ენების ახალი - ტექნოლოგიური ანბანების აგებასთან ერთად დასრულდება ქართველებისა და აფხაზების საერთო იბერიულ-კავკასიურ ენობრივ გენეტიკურ წარსულში საბოლოო შერიგებითა და ამ ქართულ და აფხაზურ ენებში უკვე შერიგებული ქართველებისა და აფხაზების მომავლის ციფრულ კულტურულ სამყაროში ერთობლივი და წარმატებული შესვლით. - იქნებ ეს უფრო ოცნებაა, ვიდრე სინამდვილე, მაგრამ ოცნება ხომ სწორედ ის არის, რითაც მანამდე არ არსებული სინამდვილეები იქმნება!“

6. სამომავლოდ დღეს უკვე დაგეგმილ ენობრივი ბარიერებისგან სრულად თავისუფალ მომავლის ციფრულ სამყაროში, მათ შორის ევროკავშირში, დეოკუპირებული და გაერთიანებული საქართველოს ღირსეული ანუ ქართული და აფხაზური ენებით, კულტურებითა და ტრადიციებით შესვლის ეპოქალური მიზნის განხორციელების აუცილებლობით.

7. უკვე კარს მომდგარი სრულყოფილი ხელოვნური ინტელექტის ეპოქაში ქართული და აფხაზური ენების მონათესავე იბერიულ-კავკასიური ენების დაცვის, შენარჩუნებისა და განვითარების აუცილებლობით, რაშიც, ცხადია, სასაფუძვლოდ წაგვადგება ზემოთ ქართული და აფხაზური ენებისთვის უკვე დასახული მიზნების მიღწევა.

8. გარდა ამ ზემოთ უკვე აღნიშნულისა კვლევითი ინსტიტუტის დაფუძნების აუცილებლობას ამყარებს ისიც, რომ ეს ყველაფერი, პერსპექტივაში, შესაძლებლობას მოგვცემს ჩვენს მეზობლებთან ერთად ვიზრუნოთ სამხრეთი კავკასიის (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი) ენობრივი ბარიერებისგან თავისუფალ მშვიდობიან კულტურულ-ეკონომიკურ პოლიტიკურ სივრცედ ფორმირებისთვის და ციფრული ტრანსფორმაციისთვის, რაც ენობრივი ბარიერებისგან სრულად თავისუფალ მომავლის ციფრულ სამყაროში, მათ შორის ევროკავშირში, კავკასიის რეგიონის საკუთარი ენებითა და ტრადიციებით

მშვიდობიანი შესვლის ეპოქალურ მიზნებს მოემსახურება. - ხომ სრულიად ცხადია, რომ ჩვენ, კავკასიელები, ერთად და მშვიდობით უფრო გადავრჩებით, ვიდრე მტრობით და ცალ-ცალკე!

06. ამგვარად, ის, რომ საქართველოს დღევანდელმა მთავრობამ მხარი დაუჭირა ამ ზემოთ 8 პუნქტად წარმოდგენილი მიზნებით მოქმედი ინსტიტუტის დაფუძნებას, პირადად ჩემთვის არის პირდაპირი დასტური იმისა, ქართული ოცნების პოლიტიკური გუნდი არის ღრმად სუვერენული ქართული ეროვნული მიზნებისა და ინტერესების დამცველი და გამტარებელი.

07. ამასთან, აქვე აუცილებლად მინდა გავუსვა ხაზი შემდეგს: თუ ქართული ოცნების მთავრობისთვის, როგორც უკვე ვნახეთ, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ქართული და აფხაზური ენების კულტურული დაცვა და ტექნოლოგიური განვითარება, ნაციონალური მოძრაობის მთავრობისთვის ეს ასე არ იყო! - ამის პირდაპირი დასტური პირადად ჩემთვის ისაა, რომ მათი მმართველობის პერიოდში სრულად გაუქმდა ჩემს მიერ შემუშავებული და ჩემი ხელმძღვანელობითვე მოქმედი თსუ სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურეობითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“, რომელიც ქართული ენის სრული მათემატიკური შესწავლისა და ტექნოლოგიური უზრუნველყოფის ამოცანებზე იყო მიმართული.

გარდა ამისა, ეს დასტურდება იმითაც, რომ იმავე პერიოდში გაუქმდა აგრეთვე ამ პროგრამის კვლევითი მიზნების გათვალისწინებით 2004-2006 წლებში ჩემს მიერ დაფუძნებული „ბუნებრივი ენების ლოგიკის“ საბაკალავრო სპეციალიზაცია და „მათემატიკური ლინგვისტიკის“ სამაგისტრო სპეციალობა, რითაც, ცხადია, გამოუსწორებელი ზიანი მიადგა საქართველოს სახელმწიფო ენების დაცვის მიზნებს.

ამგვარად, შეიძლება ითქვას ისიც, რომ 2025 წლის 15 მაისიდან სტუ-ში ჩვენი ინსტიტუტის ამოქმედებით ქართულ საუნივერსიტეტო სივრცეში საბიუჯეტო საფეხურზე დაბრუნდა თსუ-ში 2003 წლიდან დაწყებული და 2007 წელს გაუქმებული ქართული ენის სრული მათემატიკური შესწავლისა და ტექნოლოგიური უზრუნველყოფის ამოცანებზე მიმართული კვლევითი პროცესები, რომელთა მიზანი იყო მაშინაც კარს მომდგარი ხელოვნური ინტელექტის ეპოქაში საქართველოს სახელმწიფო ენების ციფრული კვდომის საფრთხისგან დაცვა და ტექნოლოგიური განვითარება!

08. ეს ცხადსა და გასაგებს ხდის, რომ ნაციონალური მოძრაობის ქართული ენის დაცვის მიზნების საზიანო მმართველობის შედეგად სულ მცირე 18 წელი მაინც დაიკარგა, რაც მთავარი მიზეზია იმისა, რომ დღეს საქართველოს სახელმწიფო ენები - ქართული და აფხაზური - არასაკმარისი ტექნოლოგიური მხარდაჭერის გამო ციფრული კვდომის ანუ ციფრული გაქრობის საფრთხის ქვეშ არიან!

09. ასევე, ხაზგასასმელია, რომ 2025 წლის 15 მაისს, სტუ-ში, ჩვენი ინსტიტუტის ამოქმედება სრულად პასუხობს „სახელმწიფო ენის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის“ 37-ე მუხლის მე-3 ქვემუხლის გ) ქვეპუნქტის, 2021 წლის დეკემბერში დამტკიცებული სახელმწიფო ენის ერთიანი სტრატეგიის და, აგრეთვე,

საქართველოში ხელოვნური ინტელექტის განვითარების აუცილებლობაზე 2024 წელს პრემიერის მიერ გაცხადებული სამთავრობო პოლიტიკის მოთხოვნებს.

გარდა ამისა, ხაზს ვუსვამთ, რომ ზუსტად ამავე დასახელების ინსტიტუტის დაფუძნებას პირველად მხარი დაეჭირა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ინოვაციებისა და მაღალი ტექნოლოგიების ცენტრის N53 სხდომაზე 2019 წლის 17 მაისს, საქართველოს დიდი პატრიარქის - ილია მეორის მიერ დაარსებული ოჯახის სიწმინდის დღეს.

ასევე აუცილებლად ხაზგასასმელია ისიც, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ ტექნიკურ უნივერსიტეტში ქართული და აფხაზური ენობრივი რესურსებისა და ტექნოლოგიების განვითარების მიზნების გათვალისწინებით 2022 წლის 26 დეკემბრის სხდომის N_01-05-04/203 გადაწყვეტილებით ერთხმად დაუჭირა მხარი საინსტიტუტო საფეხურის სამეცნიერო-კვლევითი პროცესის დაფუძნება-ამოქმედებასა და, აგრეთვე, საუნივერსიტეტო საფეხურის სამსაფეხურიანი (საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო) სასწავლო პროცესის დაფუძნება-ამოქმედებას.

ამ ორი მიზნიდან პირველი, 2025 წლის 15 მაისს, ჩვენი ინსტიტუტის დაფუძნებით, უკვე განხორციელდა. რაც შეეხება მეორე მიზანს, ის 2023 წელს შეფერხდა ჩემი საკმაოდ მძიმე ავადმყოფობის გამო და, შესაბამისად, ტექნიკურ უნივერსიტეტში „ლოგიკის, ენის, ხელოვნური ინტელექტისა და ცოდნის ინჟინერიის“ სამსაფეხურიანი (საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო) სასწავლო პროგრამის დაფუძნება-ამოქმედება დღეს ჩვენი ინსტიტუტის ერთ-ერთი უპირველესად მისაღწევი მიზანია.

საქმე ისაა, ჩვენი ღრმად დასაბუთებული რწმენით სწორედ ეს საუნივერსიტეტო სასწავლო პროცესი მოგვცემს საშუალებას აღვზარდოთ სრულყოფილი ქართული და აფხაზური კომპიუტერული „ტვინების“ შემუშავებისა და ამ ენების ციფრული კვდომის საფრთხისგან დაცვის ამოცანების გადასაწყვეტად აუცილებელი ახალგაზრდა სამეცნიერო კადრები, რაც, ცხადია, აუცილებლობით გულისხმობს იმას, რომ ჩვენი მხრიდან ყველაფერი გაკეთდება იმისათვის, რომ აქ აღიზარდნონ ამ დარგის აფხაზური ენის ბუნებრივად მცოდნე აფხაზი სპეციალისტებიც.

10. ამგვარად, ამ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ამ ახლად დაარსებულ ინსტიტუტში:

1. უკვე დაწყებულია მუშაობა ინსტიტუტის თვითგანვითარებადი ქართულ-აფხაზური ინტელექტუალური კორპუსის შემდგომი გაფართოება-გაძლიერების გზით საქართველოს ციფრული სუვერენიტეტის დაცვისა და განვითარებისთვის აუცილებელი სრულყოფილი ქართული და აფხაზური კომპიუტერული „ტვინებით“ ტექნოლოგიურად სრულად უზრუნველყოფილი ქართულ-აფხაზური ჭკვიანი ქსელის შემუშავებაზე, რომლის მმართველი და მესაკუთრე იქნება ქართული სახელმწიფო ანუ თბილისი და სოხუმი.

2. შალვა ფხაკაძის საკმარისად ზოგადი Ʒ მათემატიკურ ენასა და აღნიშვნათა თეორიაზე დაყრდნობით გრძელდება ქართული ენისა და აზროვნების იზომორფული მათემატიკური თეორიის ანუ ქართული ენის ლოგიკური გრამატიკის შემუშავების წინა წლებში თსუ სახელმწიფო-მიზნობრივი პროგრამის

„კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურეობითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“ ფარგლებში დაწყებული კვლევითი პროცესები და, შესაბამისად, ინსტიტუტის პირველი 5 წლიანი გეგმის მიხედვით 2030 წლისთვის:

2.1. უკვე შემუშავებული გვექნება ქართული ენის სრული ტექნოლოგიური უზრუნველყოფის მიზნების გათვალისწინებით ფუნდამენტური მნიშვნელობის ნაშრომი „ქართული ენის ლოგიკის საფუძვლები“, რომლითაც შევეცდებით პასუხი გავცეთ კითხვას როგორ ფიქრობს ქართული ანუ როგორ წარმოებს ქართული ენით ქართულ ენაში ანუ ჩვენით ჩვენში სწორი აზრითი ანუ გამართული ფიქრითი პროცესები, რაც, ცხადია, ფუნდამენტურად მნიშვნელოვანი სასაფუძვლო ცოდნა იქნება სრულყოფილი ქართული კომპიუტერული „ტვინის“ შესამუშავებლად.

2.2. მომზადდება ქართული საგანმანათლებლო სისტემისთვის ფუნდამენტური მნიშვნელობების მქონე ნაშრომი „ქართული ენის ლოგიკის სასწავლო კურსის საფუძვლები“, რაც, ცხადია, კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს საქართველოში კითხვის, მათემატიკისა და სამეცნიერო წიგნიერების უნარების გაძლიერება-გაღრმავებას და ქართულ ენაში ღრმად მოაზროვნე ახალგაზრდა თაობების აღზრდა-განვითარებას.

3. აფხაზური ენისა და აზროვნების იზომორფული მათემატიკური თეორიისა და აფხაზური ენის ლოგიკური გრამატიკის შემუშავების მიზნით გრძელდება სტუ-ში 2015 წლიდან ამოქმედებული გრძელვადიანი პროექტის „აფხაზური ენის სრული ტექნოლოგიური უზრუნველყოფის გეგმა-პროგრამა“ ფარგლებში დაწყებული კვლევები.

4. საქართველოს მთავრობის მიერ უკვე მხარდაჭერილი 5 წლიანი საინსტიტუტო პროექტის შესაბამისად უკვე დაწყებულია მუშაობა ქართულ-აფხაზური ნახევრად თვითგანვითარებადი ტერმინოლოგიური პორტალის კონცეფციისა და ექსპერიმენტული ვერსიის შემუშავებაზე. - ეს ჩვენი თვალთახედვით ერთადერთი გზაა იმისა, რომ ჩვენი ენები დავიცვათ უცხოენოვანი ტერმინების მეტად სწრაფი და მეტად უკონტროლო შემოდინებისგან, რაც, ისევ და ისევ ჩვენი და არამხოლოდ ჩვენი თვალთახედვით სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ნებისმიერი ენის კულტურული დაცვისა და ტექნოლოგიური განვითარებისთვის.

და ბოლოს ამ ზემოაღნიშნულთა გარდა ინსტიტუტის პირველ რიგში მისაღწევ მიზანთა შორისაა აგრეთვე მშვიდობასა და შერიგებაზე ორიენტირებული ქართულ-აფხაზური საზოგადოების ინფორმირება იმ სასიცოცხლო მნიშვნელობების გამოწვევებზე, რომელთა წინაშეა დღეს ქართული და აფხაზური ენები. - ჩვენ ღრმად გვწამს, რომ ქართველებისა და აფხაზების შერიგებისა და ქართული და აფხაზური ენების დაცვის მიზნებით მოქმედი ქართული სახელმწიფო ამავე მიზნებით მოქმედ ქართულ-აფხაზურ საზოგადოებასთან ერთად შეძლებს უზრუნველყოს როგორც ქართული და აფხაზური ენების დაცვა-განვითარება, ისე დღეს დარღვეული ქართულ-აფხაზური მშვიდობის აღდგენა-გაძლიერება, რადგან ჩვენც ვიცით და აფხაზებმაც, რომ რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია!

10. და სულ ბოლოს, პასუხი რომ გავცეთ იმ კითხვას, რომელიც ლექციის დასაწყისში დავსვით: როგორ დაიცვას სახელმწიფომ თავისი ენები კარს მომდგარი

სრულყოფილი ხელოვნური ინტელექტისა და სრულმასშტაბიანი ციფრული ეკონომიკის ეპოქაში? - ჩვენი პასუხი ასეთია: იმისათვის, რომ სახელმწიფომ დაიცვას თავისი ენები კარს მომდგარი სრულყოფილი ხელოვნური ინტელექტისა და სრულმასშტაბიანი ციფრული ეკონომიკის ეპოქაში, ის:

1. არ უნდა მოიქცეს ისე, როგორც იქცეოდა ე.წ. „ვარდების რევოლუციით“ მოსული ნაციონალური მოძრაობის მთავრობა, რომელმაც გააუქმა მანამდე ქვეყანაში არსებული თითქმის ყველაფერი, რაც ქართული ენის დაცვისა და განვითარების მიზნებს ემსახურებოდა!

2. უნდა მოიქცეს ისე, როგორც იქცეოდა და იქცევა ქართული ოცნების მთავრობა 2012-2015 წლებში და, აგრეთვე, 2021 წლის შემდგომ პერიოდში, როცა მან აღადგინა საქართველოს სახელმწიფო ენების დაცვის მიზნებზე მიმართული თითქმის ყველაფერი, რაც წინა ხელისუფლებამ გააუქმა, და დამატებით შექმნა აგრეთვე ახალი ინსტრუმენტები, მათ შორის საქართველოს სახელმწიფო ენების დაცვისა და განვითარების მიზნებით მოქმედი ჩვენი ინსტიტუტი! - თუმცა ქართული და აფხაზური ენების წინაშე დღეს მდგარი გამოწვევები იმდენად მძაფრია, რომ აუცილებელია ამ პირველი ისტორიული მნიშვნელობის ნაბიჯების გამაძლიერებელი ნაბიჯების რაც შეიძლება დროული გადადგმა!!!

მინაწერი: მოხსენების შემდეგ, სხდომის უცხოელმა მონაწილეებმა და არა მხოლოდ უცხოელმა მონაწილეებმა დასვეს კითხვები და გაიმართა ცოცხალი დისკუსია იმის თაობაზე, თუ რა იგულისხმებოდა სრულყოფილი ქართული და აფხაზური კომპიუტერული „ტვინებისა“ და ქართული და აფხაზური ენებისა და აზროვნებების იზომორფული მათემატიკური თეორიების ქვეშ.

ასევე, დისკუსიის დასასრულს ინსტიტუტს წარმატება უსურვეს იმ მეტად საპასუხისმგებლო მიზნების მიღწევაში, რომელთა გადასაწყვეტად საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით ის დაფუძნდა და ამოქმედდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2025 წლის 15 მაისიდან.

ზემოწარმოდგენილის ინტერნეტით წვდომადი წყაროები:

1. https://geoanbani.com/Other/PDFs/Articles/2026_XVI_GMU_Abstracts.pdf
2. https://geoanbani.com/Other/PDFs/Articles/2026_XVI_GMU_Program.pdf
3. https://geoanbani.com/Other/PDFs/Articles/26.pdf
4. https://geoanbani.com/Other/PDFs/Articles/23.pdf
5. https://geoanbani.com/Other/PDFs/Articles/24.pdf
6. https://geoanbani.com/Other/PDFs/Articles/20.pdf
7. https://geoanbani.com/Other/PDFs/Articles/16.pdf
8. https://geoanbani.com/Other/PDFs/Articles/15.pdf
9. http://science.org.ge/bnas/t14-n3/06_Pkhakadze_Informatics.pdf
10. https://rustaveli.org.ge/geo/tsarmatebuli-proeqebi-da-mecnierebi/kidev-erti-nabiji-mosaubre-kartuli-tvitganvitarebadi-intelektualuri-korpusisaken
11. https://geoanbani.com/other/pdfs/aboutus/2.pdf
12. https://geoanbani.com/other/pdfs/aboutus/1.pdf
13. https://geoanbani.com/Other/PDFs/Articles/14.pdf
14. https://geoanbani.com/Other/PDFs/Articles/12.pdf
15. https://geoanbani.com/other/gllc.ge/publications/issues/11-18.04.2007_LLC.pdf
16. https://geoanbani.com/other/gllc.ge/publications/issues/saswavlo_unarebi_1_2007.pdf
17. https://geoanbani.com/other/gllc.ge/publications/issues/Jurnali_3-6_2006-2007.pdf
18. https://geoanbani.com/other/gllc.ge/publications/issues/Jurnali_1_2005.pdf
19. https://geoanbani.com/other/gllc.ge/publications/issues/Jurnali_2_2005.pdf
20. https://geoanbani.com/Other/PDFs/Articles/wigni.pdf
21. https://geoanbani.com/other/gllc.ge/issues.html
22. https://geoanbani.com/other/gllc.ge/articles.html